საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 707-03
02/03/2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის (ÖSD) 2020 წელს ჩასატარებელი თარიღების განსაზღვრის, რეგისტრაციის ვადებისა და საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ÖSD-(გერმანული ენის ავსტრიული დიპლომი)-გაერთიანებას შორის 2016 წლის 27 თებერვალს გაფორმებული საგამოცდო ლიცენზიის გაგრძელების შეთანხმების და ავსტრიული კულტურის ცენტრის დირექტორის, მზია გალდავაძის 2020 წლის 28 თებერვლის #3223-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. გერმანული ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდა (ÖSD) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წელს ჩატარდეს სამჯერ და განისაზღვროს შესაბამისი თარიღები ამ ბრძანების თანახმად.
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდა (ÖSD) **A1,A2, B1, B2, C1 და C2 ენობრივი დონეებისათვის** ჩატარდეს **2020 წლის 25 აპრილიდან 29 აპრილის ჩათვლით**, ავსტრიული კულტურის ცენტრის სასემინარო დარბაზში - უნივერსიტეტის S კორპუსის 507-ე აუდიტორიაში(გიორგი წერეთლის გასასვლელი N3). ამ თარიღებისათვის გერმანული ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე გასვლის მსურველების რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2 მარტიდან 20 მარტის ჩათვლით პერიოდი, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 11:00–18:00 საათამდე ავსტრიული კულტურის ცენტრის 505-ე აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ,,S" კორპუსი, გიორგი წერეთლის გასასვლელი N3), რეგისტრაცია შესაძლებელია ასევე ელექტრონული ფოსტის მისამართზე osd.tbilisi@iliauni.edu.ge .

3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდა (ÖSD) **A1,A2, B1, B2, C1 და C2 ენობრივი დონეებისათვის** ჩატარდეს **2020 წლის 27 ივნისიდან და 1 ივლისის ჩათვლით,** ავსტრიული კულტურის ცენტრის სასემინარო დარბაზში - უნივერსიტეტის S კორპუსის 507-ე აუდიტორიაში(გიორგი წერეთლის გასასვლელი N3). ამ თარიღებისათვის გერმანული ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე გასვლის მსურველების რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 4 მაისიდან 22 მაისის ჩათვლით პერიოდი, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 11:00–18:00 საათამდე, ავსტრიული კულტურის ცენტრის 505-ე აუდიტორიაში(უნივერსიტეტის ,,S" კორპუსი, გიორგი წერეთლის გასასვლელი N3), რეგისტრაცია შესაძლებელია ასევე ელექტრონული ფოსტის მისამართზე osd.tbilisi@iliauni.edu.ge .

4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდა (ÖSD) **A1,A2, B1, B2, C1 და C2 ენობრივი დონეებისათვის** ჩატარდეს **2020 წლის 21 დეკემბრიდან და 25 დეკემბერის ჩათვლით,** ავსტრიული კულტურის ცენტრის სასემინარო დარბაზში - უნივერსიტეტის S კორპუსის 507-ე აუდიტორიაში(გიორგი წერეთლის გასასვლელი N3). ამ თარიღებისათვის გერმანული ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე გასვლის მსურველების რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 1 ოქტომბრიდან 16 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 11:00–18:00 საათამდე, ავსტრიული კულტურის ცენტრის 505-ე აუდიტორიაში(უნივერსიტეტის ,,S" კორპუსი, გიორგი წერეთლის გასასვლელი N3), რეგისტრაცია შესაძლებელია ასევე ელექტრონული ფოსტის მისამართზე osd.tbilisi@iliauni.edu.ge .

5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდისთვის (ÖSD) საგამოცდო კომისია განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

ა) მზია გალდავაძე - ავსტრიული კულტურის ცენტრის დირექტორი (გამომცდელი-ლიცენზია N:1173; კომისიის თავმჯდომარე).

ბ) ნარგიზი ცინცაძე-დებიაზი - გამომცდელი-ლიცენზია N2089 (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) ანა ბაკურაძე - გამომცდელი-ლიცენზია N2092 (კომისიის წევრი);

დ) ნინო წულაია- გამომცდელი- ლიცენზია N5304 (კომისიის წევრი).

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდის (ÖSD) ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ავსტრიული კულტურის ცენტრის დირექტორი მზია გალდავაძე.

7. გერმანული ენის ავსტრიული საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდის (ÖSD) ტექნიკურ ასისტენტად განისაზღვროს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- მზევინარ ჭუმბურიძე.

8. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანებაში საგამოცდო პერიოდთან და რეგისტრაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

10. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ავსტრიული კულტურის ცენტრს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ავსტრიულ ბიბლიოთეკასა და ამ ბრძანებით განსაზღვრულ პირებს.

გიგა ზედანია

რექტორი